წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

დაპატიმრებული და ნაცემია ჟურნალისტური საქმიანობისთვის

საი ზო თაიკი

მიანმარი

30 წელი

მიანმარი

მიანმარში ჟურნალისტიკა ერთ-ერთი უაღრესად სახიფათო პროფესიაა. 2021 წლის შემდეგ, როდესაც მიანმარში ძალაუფლება სამხედროებმა ჩაიგდეს ხელში, 200-ზე მეტი ჟურნალისტი იქნა დაპატიმრებული. გავრცელებული ცნობების თანახმად, სულ ცოტა, შვიდი ჟურნალისტია მოკლული. აიკრძალა და გაძევებული იქნა მედიაორგანიზაციები.

ამ საფრთხის მიუხედავად, როდესაც 2023 წლის მაისში მიანმარს ციკლონმა „მოკამ“ გადაუარა, ფოტოჟურნალისტი საი ზო თაიკი ფარულად გაემგზავრა რახაინის შტატში ციკლონის დამანგრეველი შედეგების გასაშუქებლად.

ის მაშველთა გუნდს შეუერთდა, თუმცა ერთი კვირის შემდეგ დააპატიმრეს. ის დაკითხეს, სცემეს და 2023 წლის სექტემბერში სამხედრო ტრიბუნალმა მას 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა მძიმე შრომითი რეჟიმის ციხეში. მისი საქმის განხილვა მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდა.

საი ზო თაიკის თავისუფლად უნდა შეეძლოს მოვლენების გაშუქება. ის სახლში, მის ოჯახთან უნდა იყოს, დროს საყვარელი საქმის კეთებას უთმობდეს - ფეხბურთის თამაშს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩების ყურებას და მეგობრებთან ურთიერთობას. ის თავის კატებს უნდა უვლიდეს, რომლებიც საი ზოს ძალიან უყვარს.

ამის ნაცვლად ის გამოკეტილია. მას ცემის და პერიოდულად სამარტოო საკანში გამომწყვდევის ატანა უწევს.

მოსთხოვეთ მიანმარის სამხედრო მმართველობას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს საი ზო თაიკი.

მისწერეთ მიანმარის სამხედრო ხუნტას

მოითხოვეთ, რომ სამხედრო მმართველობამ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს საი ზო თაიკი. მას 20 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმიანობის გამო.

მისამართი: მიანმარის სამხედრო ხუნტა
გადაეცით თქვენსა ანდა მეზობელ ქვეყანაში მოქმედი მიანმარის საელჩოს ან საკონსულოს მეშვეობით

მისალმება: სამხედრო ხუნტა
ელფოსტა: sacministry1234@gmail.com
www.sacministry.gov.mm/en/contact-us
www.seniorgeneralminaunghlaing.com.mm/en/contact/

დაეხმარეთ საი ზო თაიკის, შეინარჩუნოს მხნეობა

მისწერეთ მეგობრული და იმედისმომცემი წერილი. წერილთან ერთად კატების სურათებიც შეგიძლიათ გაუგზავნოთ (საი ზოს რამდენიმე კატა ჰყავს).

მისამართი: Sai Zaw Thaike
c/o Amnesty International
East and Southeast Asia and the Pacific Regional Office
M. Thai Tower
All Seasons Place
87 Wireless Road
Lumpini, Phatumwan
Bangkok
10330
ბანგკოკი

FACEBOOK: www.facebook.com/myanmarnownews
X: @Myanmar_Now_Eng
INSTAGRAM: myanmar_now
ჰეშტეგები: #თავისუფლებასაიზოს, #თავისუფლებასზთ-ს, #წერილებისმარათონი25

პირველი გვერდის ფოტო: © Kon Blai, © Myat Gyi
ბოლო გვერდის ფოტო: © Kon Blai, © Myanmar Now

2025 წლის სექტემბერი
ინდექსი: ASA 16/9339/2025